ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 47

ქალაქი ბათუმი 8 - თებერვალი 2023 წელი

ერთის მხრივ **სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი მიქელაძის** სახით და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი ლია არაშიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №98 განკარგულების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2023 წლის 20 თებერვალს, სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ, ბათუმის ხელოვნების ცენტრში, დაგეგმილია საოპერო მომღერლის, სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის მარიამ ჯახუტაშვილის საიუბილეო საღამოს ჩატარება. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, **საიუბილეო წიგნი-ალბომის რედაქტორის მომსახურეობის** შესყიდვა **(CPV კოდები: 92300000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **4 470 (ოთხიათასოთხასსამოცდაათი)** ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 15 თებერვლის ჩათვლით პერიოდში (მისამართი: ქალაქ ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1).

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
10.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
10.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ ,,ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი''
იურიდიული მისამართი: ბათუმი, ოდისეი
დიმიტრიადის ქუჩა №1
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. №: GE24 NB03 3010 0200 1650 22
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 584 274
ტელ: 27-62-40, 22 15 06

მიმწოდებელი:

ფ/პ ლია აროშიძე
პირადი № 61002014741
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის №GE41BG0000000911443500
ტელ: 568 75 09 65

Lia Aroshidze 61002014741
Digitally signed by Lia Aroshidze
Date: 2023.02.08 15:35:43

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქალაქი ბათუმი 8 თებერვალი 2023 წელი

ხელწერილით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ **ფიზიკური პირი ლია არუშიძესთან საიუბილეო წიგნი-ალბომის რედაქტორის მომსახურეობის** შესყიდვის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში, არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

მუსიკალური ცენტრის დირექტორი
გიორგი მიქელაძე